სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 02

2016 წ. "23" 12

ქ.თბილისი

შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2016 წლის 20 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის №05/31 სააპელაციო საჩივარი (რეგისტრაციის №1512841) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 2 ნოემბრის №26 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის №1512841 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე